

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 325 000 ლარით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს კომუნალური ხარჯების, ელექტრო ხარჯების მუხლში.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სტუ-ს შორის 2014 წლის 16 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება №09-1/47/26, რომელიც ითვალისწინებს „განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 32 02 04) „სასკოლო ინიციატივების წახალისების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, პროექტის „ახალგაზრდა ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირი - მსოფლიო თასი ფიზიკაში“ დაფინანსებას 17 960 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ბიუჯეტი გაიზარდოს 17 960 ლარით, ხოლო ხარჯები გაიწეროს თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილში პროგრამული დაფინანსება ჩამოყალიბდეს ზემოთ აღნიშნული რედაქციით.

3. ასევე, ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დამტკიცებულ სამტატო განრიგში შემცირდეს სამტატო ერთეულების

რაოდენობა და ნაცვლად 61 ერთეულისა, განისაზღვროს – 53 ერთეულით. რა შეეხება ხელფასის ფონდს, იგი შემცირდეს თვეში 125 ლარით და განისაზღვროს – 11 555 ლარით.

ცვლილება განხორციელდეს მიმდინარე წლის 1 ივლისიდან.

4. 2014 წლის 25 მარტის ხელშეკრულების პროექტის №TMT-348-GEO საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია სტუ-სა და იუნესკოს წყლის რესურსების საერთაშორისო ინსტიტუტს (UNESCO-IHE) შორის და ითვალისწინებს სასწავლო კურსის ჩატარებას სახელწოდებით „გარემოს დაცვის საკითხები უმაღლესი განათლების საინჟინრო სწავლებაში გლობალური დათბობის ფონზე“, დაფინანსება განსაზღვრულია 32 005 ევროს ოდენობით, რაც დღევანდელი კურსით ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 76 812 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების გრაფა გაიზარდოს 76 812 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს გრანტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

5. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და სტუ-ს შორის 2014 წლის 6 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულებები №GF/21/3-250/14; №GF/26/2-160/14; №GF/77/3-110/14, რომელიც ითვალისწინებს კონფერენციების მოწყობის დაფინანსებას 79 500 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს საშემოსავლო ნაწილის სამეცნიერო გრანტების გრაფა გაიზარდოს 79 500 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 აპრილის დადგენილება №1141 საფუძველზე ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორების ხელფასის ოდენობა განისაზღვროს: სრული პროფესორის 1 აკადემიური საათის ღირებულება - 27 ლარით, ხოლო ასოცირებული პროფესორის 1 აკადემიური საათის ღირებულება - 21 ლარი.  
ცვლილება ძალაში შევიდეს 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებიდან.
2. სტუ-ს სარედაქციო საბჭოს სწავლული მდივნის ხელფასი განისაზღვროს თვეში 1 000 ლარით.  
ცვლილება განხორციელდეს მიმდინარე წლის 1 ივლისიდან.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს გასაიჯარებელი ფართების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს გასაიჯარებელი ფართები, კერძოდ: მე-6 სასწავლო კორპუსის მე-2 სართულზე არსებული 16 კვ.მ. ფართი, ქსეროგრაფიული საქმიანობის მიზნით, 2 წლის ვადით და მე-8 სასწავლო კორპუსში, სტამბის ტერიტორიაზე არსებული 20 კვ. მ. ფართი, 2 წლის ვადით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე პროფ. იოსებ მასურაშვილმა წარმოადგინა საკითხი „ვენჩურული ბიზნესის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 აპრილის დადგენილება №1129.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ვენჩურული ბიზნესის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე პროფ. ზურაბ ვაშაკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ში სამტატო და საათობრივი დატვირთვის შესახებ.

სენატმა დაადგინა: ცნობად იქნეს მიღებული პროფ. ზურაბ ვაშაკიძის წინადადება და შესწავლისა და არსებითი განხილვის მიზნით გადაეგზავნოს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ხელფასზე დანამატის დანიშვნის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დიპლომის განყოფილების მთავარ სპეციალისტს, ნატო კალანდარიშვილს განესაზღვროს ყოველთვიური დანამატი ხელფასზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე ბატონმა მამუკა არეშიძემ წარმოადგინა საკითხი „რეგიონული კვლევების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ივნისის დადგენილება №1177.

სენატმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რეგიონული კვლევების ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.
2. ცენტრის დირექტორად დაინიშნოს ბატონი მამუკა არეშიძე.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე პროფ. ირინა გოცირიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან „სამედიცინო ტექნიკის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მაისის დადგენილება №1159.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სამედიცინო ტექნიკის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 18 ივნისის =55 სხდომაზე პროფ. ზვიად ღურჯაიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან „ტელემედიცინის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მაისის დადგენილება №1160.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ტელემედიცინის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე